თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 9

ქ. თერჯოლა 16.08.2024 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გრიგოლ გიორგაძე, 6. გიორგი ბარათაშვილი, 7. როლანდი მესხი, 8. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. მანუჩარ ფანჩულიძე, 2. რამინი რობაქიძე, 3.კობა კირკიტაძე,

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 8 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282422750, 14.08.2024 წ.).

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო ნაწილის გაზრდამ, მთავრობის განკარგულებებმა და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 2018.6 ათასი ლარით და შეადგენს 33788.3 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 2018.6 ათასი ლარით. გრანტები გაიზარდა 1473.9 ათასი ლარით (რგფ 1150.0 ათასი ლარით და მოქალაქეთა ჩართულობის პროექტები დაფინასდება 323.9 ათასი ლარით . სხვა შემოსავლები გაიზარდა 544.7 ათასი ლარით (რენტა გაიზარდა 210,0 ათასი ლარით და სანქციები, ჯარიმები და საურავები გაიზარდა 334.7 ათასი ლარით) .

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 2018.6 ათასი ლარით. მ/შორის:

მერის სარეზერვო ფონდი გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.

გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 1483.9 ათასი ლარით: სოფ. გოდოგანში ხორხის უბანში გზის რეაბილიტაციის დაფინანსება გაიზარდა 129.6 ათასი ლარით.სოფ. ბარდუბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის დაფინანსება გაიზარდა 71.0 ათასი ლარით. სოფ. კვახჭირი-ოდილაურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსება გაიზარდა 199.7 ათასი ლარით. სოფ. გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის დაფინანსება გაიზარდა 31.5 ათასი ლარით. სოფ. საზანოში ჩიხორი შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის დაფინანსება გაიზარდა 58.8 ათასი ლარით. ქ.თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 62.6 ათასი ლარით. დ. კლდიაშვილის სახლმუზეუმის ასფალტოვანი გზიდან სოფ. სათემოს ეკლესია -აბულაძეების უბნამდე არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 62.6 ათასი ლარით.სოფ.რუფოთში, ჭანკვეტაძეების უბანში მდებარე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 62.6 ათასი ლარით.სოფ ახალთერჯოლაში ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 62.6 ათასი ლარით. სოფ. თუზში ჩაფიჩაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 62.6 ათასი ლარით.სოფ. ჩხარში ამირანაშვილების მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 62.6 ათასი ლარით.ქვ. ალისუბანი - მაჩიტაურის დამაკავშირებელი 3 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 62.6 ათასი ლარით.სოფ. სიქთარვაში მემანიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 62.5 ათასი ლარით.სოფ. სიქთარვაში ყაზაიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 62.5 ათასი ლარით.სოფ. ნახშირღელეში ხორხის უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 62.5 ათასი ლარით.სოფ. კვახჭირი ცენტრალური გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 62.5 ათასი ლარით. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფ. გოდოგანში საავტომობილი გზის და საყრდენი კედლების მოწყობა/რეაბილიტაცია დაფინანსდება 62.5 ათასი ლარით. სოფ. საზანოში ჩიხორი შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 62.5 ათასი ლარით.

ასევე დაფინასდება მოქალაქეთა ჩართულობის პროექტები 180.0 ათასი ლარით.

წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია გაიზარდა 17.0 ათასი ლარით: სოფ. ძევრში კალატოზები-ვერულაშვილების უბანში წყლის სისტემის მოწყობის დაფინანსება გაიზარდა 17.0 ათასი ლარით.

კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა 307.7 ათასი ლარით: ქ. თერჯოლაში არსებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დარბაზის სარემონტო სამუშაოების დაფინანსება გაიზარდა 27.0 ათასი ლარით. ქ. თერჯოლაში არსებული მუსიკალური სკოლის შენობის რეაბილიტაციის დაფინანსება გაიზარდა 136.8 ათასი ლარით.

ასევე დაფინასდება მოქალაქეთა ჩართულობის პროექტები 143.9 ათასი ლარით.

თერჯოლის დაუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 120.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა გაიზარდა 60.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი